# მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი

# „სახვითი ხელოვნება – ტრადიცია, შესაძლებლობები და გამოწვევები“

# (ეძღვნება თამაზ ხუციშვილის ხსოვნას)

19-20 ოქტომბერი, 2026

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვიზუალური ხელოვნების სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი 2026 წლის 19-20 ოქტომბერს უმასპინძლებს მხატვრებსა და მკვლევრებს საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებიდან მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმზე: „სახვითი ხელოვნება – ტრადიცია, შესაძლებლობები და გამოწვევები“, რომელიც მიეძღვნება ქართველი მხატვრის, თამაზ ხუციშვილის ხსოვნას.

საერთაშორისო სიმპოზიუმის ძირითადი მიმართულებაა სახვითი ხელოვნება, დარგი, რომლის სწავლებასაც თსუ-ში 60-წლიანი ისტორია აქვს. სიმპოზიუმის ფარგლებში იმუშავებს თემატური სექციები, მრგვალი მაგიდა, გა-იმართება მასტერკლასი, ვორკშოპი და გამოფენა, სადისკუსიო ფორუმები, ფორმალური და არაფორმალური ხასიათის შეხვედრები.

სიმპოზიუმის მიზნებია:

- ქართული სახვითი ხელოვნების პოპულარიზება და ინტერნაციონალიზაცია;
- სახელოვნებო დარგში პოპულარული ტენდენციების გაცნობა და გავრცელების ხელშეწყობა;
- სხვადასხვა თაობის მეცნიერებსა და მხატვრებს შორის კომუნიკაციის გაღრმავება და მხარდაჭერა; ახალგაზრდა მხატვართა როლის გამოკვეთა;
- ადგილობრივ და უცხოელ კოლეგებთან, მხატვრებთან კავშირების გაღრმავება და სახელოვნებო და სამეცნიერო სფეროებში მიღწევების გაზიარება;
- მხატვრობაში თანამედროვე პრობლემებისა და გამოწვევების წარმოჩენა და განხილვა.

სიმპოზიუმში მონაწილეობა შეუძლიათ პროფესიონალ მხატვრებს, მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მეცნიერებს, სახვითი ხელოვნების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს.

სიმპოზიუმის თემატიკა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ტრადიცია და თანამედროვეობა მხატვრობაში
- ქართული სახვითი ხელოვნება
- რელიგია და ხელოვნება
- ლიტერატურა და მხატვრობა
- მუსიკა და მხატვრობა
- კულტურა და ხელოვნება
- ფილოსოფია და ხელოვნება
- მინიატურის ჟანრი ხელოვნებაში

სიმპოზიუმის ჩატარების ადგილი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

ძირითადი სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური.

რეგლამენტი:
მოხსენება – 20 წუთი;
მსჯელობა – 10 წუთი;

მნიშვნელოვანი თარიღები:

- სიმპოზიუმის ჩატარების თარიღი: 19-20 ოქტომბერი, 2026
- თეზისების გამოგზავნის ბოლო ვადა – 20 სექტემბერი, 2026
- სარეგისტრაციო თანხის გადახდის ბოლო ვადა – 01 ოქტომბერი, 2026 (სიმპოზიუმის პროგრამაში მოხსენების ჩართვის შემთხვევაში);
- პროგრამაში ცვლილებების შეტანის ბოლო ვადა – 01 ოქტომბერი, 2026;
- ქართულენოვანი თეზისების მოცულობა: 300 სიტყვა; ინგლისურენოვანი თეზისების მოცულობა: 300 სიტყვა;

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ დაგვიანებით გამოგზავნილი თეზისები არ მიიღება.

სიმპოზიუმში მონაწილე მომხსენებელთათვის განსაზღვრული სარეგისტრაციო გადასახადი (თანხმობის წერილის მიღების შემდეგ):
- ქართველი მომხსენებლებისთვის – 70 ლარი;
- უცხოელი მომხსენებლებისა და მხატვრებისთვის – 100 ევრო;
- ქართველი თანაავტორებისათვის (თითოეული თანაავტორი) – 35 ლარი;
- უცხოელი თანაავტორებისათვის (თითოეულითანაავტორი) – 50 ევრო;

საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები (ანგარიში ეროვნულ ლარში):
სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: 204864548;

- მიმღების დასახელება – ხაზინის ერთიანი ეროვნული ანგარიში;
- მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა;
- ბანკის კოდი – TRESGE22;
- მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი: 708967253.

სარეგისტრაციო თანხაში შედის:

- სიმპოზიუმის გახსნის ცერემონიაზე დასწრება (19-20 ოქტომბერი, 2026);
- სიმპოზიუმის ყველა სესიაზე დასწრება (19-20 ოქტომბერი, 2026);
- საუნივერსიტეტო ტური;
- სიმპოზიუმის პროგრამა;
- სიმპოზიუმის მასალები;
- სერტიფიკატი;
- ყავისა და ჩაის შესვენება;

სიმპოზიუმის პროგრამაში მოხსენების ჩართვის შემდეგ, გთხოვთ, მითითებულ ვადაში დაფაროთ სარეგისტრაციო გადასახადი.

გადარიცხვისას მიუთითეთ:

- მომხსენებლის სახელი, გვარი;
- მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი „სახვითი ხელოვნება – ტრადიცია, შესაძლებლობები და გამოწვევები“.
- სიმპოზიუმის ორგანიზატორია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვიზუალური ხელოვნების სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი.
- სამეცნიერო მიმართულებით სიმპოზიუმის კოორდინატორია – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.
- მისამართი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი, ჭავჭავაძის გამზ. #1, ოთახი N 204, თბილისი, საქართველო.
- ელ.ფოსტა: symposium.visualart@tsu.ge
- საკონტაქტო პირები: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვიზუალური ხელოვნების სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი ლევან სილაგაძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოც. პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი.